ფაზის ოილი PHASIS OIL

Ref.: 004 GZS 1219 Date: 05 დეკემბერი 2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს,
ბატონ გიორგი ხანიშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „ფაზის ოილი" ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევთან გეგმავს ევროსტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საშუალო სიმძლავრის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას და ექსპლუატაციას. დეტალური პროექტის დამუშავების და ბაზრის შემდგომი კვლევის შედეგად დაგეგმილ საქმიანობაში გათვალისწინებულია გარკვეული ცვლილებები.

2019 წლის 26 ნოემბრის №11623/01 წერილის მოთხოვნების შესაბამისად წარმოგიდგენთ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების განახლებულ სკოპინგის ანგარიშს. სკოპინგის ანგარიშში შეტანილია შესაბამისი შესწორებები, კერძოდ:

- სკოპინგის ანგარიშის პარაგრაფში 2.3.4. მოცემულია ნავთობის გაცხელებისთვის გათვალისწინებული აირტურბინების აღწერა;
- სკოპინგის ანგარიშის პარაგრაფში 2.3.3. მოცემულია ქარხნის განახლებული გენ-გეგმა;
- სკოპინგის ანგარიშის პარაგრაფში 2.2. წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია ძველი და ახალი პროექტით გათვალისწინებული რეზერვუარების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის პარაგრაფში 2.3.2. წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია ქარხნის ტექნოლოგური ციკლის შესახებ (მათ შორის მოკლედ აღწერილია ნავთობის მიღების და ნავთობპროდუქტების გაცემის ოპერაციები). ამავე პარაგრაფში ნაჩვენებია ქარხნის ტექნოლოგიური სქემა ქართულ ენაზე. აქვე გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში ასახულია ტექნოლოგიური ციკლის შესახებ ამ ეტაპზე არსებული ინფორმაცია. დღეისათვის ინტენსიურად მიმდინარეობს დეტალური პროექტის დამუშავება და ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი შესაძლებელია დაზუსტდებული იქნეს ანგარიშის საჯარო განხილვის პერიოდშიც.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის კოორდინატები ე.წ. „shape ფაილების" სახით.

პატივისცემით,

გია შავდია

შპს „ფაზის ოილი"-ს დირექტორი

"PHASIS OIL" LTD 406061554

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 17590
05 12 2019
1/CD
02